ა გ ვ ი ს ტ ო 1953 წ.
**№ 7**
წელიწადი მესამე
რედაქციის მისამართი:
133, rue de l'Abbé-Groult. Paris 15. R. Gabachvili

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს დამოუკიდებლობა

## L'INDÉPENDANCE GÉORGIENNE

ორგანო „ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრისა უცხოეთში".

**პარიზი. 1 მარიამობისთვე 1953.**

გამოსაცნობია — სტალინის სიკვდილი, ბერლინის სისხლიანი ჯანყი, ბერიას ვარსკვლავის ჩასვენება, აიზენჰაუერის კეთილშობილი წერილები ადენაუერსა და სინგმან-რიას, და ბევრი სხვა—ამდენივე „ლახვარის ჩაცემაა" რუსეთის იმპერიალიზმისათვის, თუ მხოლოდ „ქინძისთვის ჩხვლეტა" სქელ-ტყავა ვეშაპისათვის?

აჩქარებულ ხალხსა სურს, რომ ეს სასიკვდილო ჭრილობათა ნიშნები იყოს; მედგარ, გამოცდილ, პოლიტიკურ მონადირეთ ეს პერსპექტივა უფრო შორეულად ეჩვენებათ.

ცხადი ერთია, ბოლშევიზმის შიგნიდან გახრწნის და საგარეო საშიშროების ნიშნები მრავლდება, მაგრამ ადამიანისა, ერთა და კაცობრიობის განთავისუფლების დღესასწაულისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ: თანამედროვე სახელმწიფოთა მშვიდობიანი ერთი-ერთობა, მსოფლიო ომები თუ წონასწორობაზე დამყარებული ზავი, — მეტად [illegible] გადაიქცნენ, [illegible] მათი შეცვლება, შეჯახება ან გადაშენება ახალს, უცნობ სოციალურ და პოლიტიკურ რაობად, ანაზდეულად იყოს შესაძლებელი.

კაცობრიობას დიდი, თავსატეხი კრიზისი უდგება და ყოველი ადამიანი ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს, ამ კრიზისის გახსნაში რა დიდი თუ პატარა წვლილის შეტანა შეუძლიან, საკუთარი ჯამების დაუმტვრევლად, ერისა და სახელმწიფოს გადასარჩენად.

თუ სხვა ერთა და დიდ სახელმწიფოთა თვის თვით **არჩევანია** ძნელად გადასაწყვეტი საკითხი, ჩვენთვის, ქართველებისათვის, კავკასიელთათვის და სხვა, ჩვენს ბედში მყოფ ერებისათვის, — არჩევანი სულ უბრალოა: ჩვენი მტრის — რუსეთის იმპერიალიზმის—მტრებთან უნდა ვიყვნეთ. მუდამ და ერთავად, ერთად; ფსიქოლოგიურად, მისწრაფებით, ფიზიკურად თუ იარაღით ხელში. ჩვენი თავსატეხი გასაჭირი, საკამათო, სადაო საგანი სხვა რეალური სფეროშია, სხვა რეალობაში: თუ პრაქტიკულად, კონკრეტულად რა საშუალებანი, გარემოებანი, ვინ, როდის და სად გამოვიყენოთ **ერთი და იგივე** მიზნისათვის.

რადგან ყველა დიდ სახელმწიფოს, განურჩევლად, ათასი საშუალება აქვს მოგატყუოს, გადაგცვალოს, გაგყიდოს და სიცრუეც — სიმართლედ გაასაღოს, პატარას კი სწორედ ჭეშმარიტების და სამართლიანობის ძებნაში ამოსდის სული, — ერთად-ერთი იარაღად, მტერთან და მოყვარესთან, სხდილად ჩვენი მიზანის მტკიცე დამცველნი უნდა ვიყვნეთ. ვისიმე მოტყუება, „გაცურება", ორ-სამ სკამზედ ჯდომა არა მარტო სირცხვილია, სრულიად მიზანშეუწონელი და მავნეა.

„სიცრუე და ორპირობა — აწყენს სულსა, მერე ხორცსა" (-ც), — მარტო მორალური მცნება კი არ არის რუსთაველისა, არამედ ღრმა პოლიტიკური მორალიც, პატარა ერის ზარაფხანასა და თოფხანაშიაც.

## ს ე უ ლ ი ს ს უ ლ ი

კორეელები — 25-28 მილიონია. ქართველებთან მათ და მათს ქვეყანას არა აქვს რა საერთო: არც რასა, არც კულტურა, არც რჯული, ისტორია, გეოგრაფიული მდებარეობა, ან მცხოვრებთა რაოდენობა...

მაგრამ კორეა ებრძვის რუსეთის მიერ შობილ ბოლშევიზმს და ებრძვის დამოუკიდებლობისათვის ისეთ ვეებერთელა მტრებს, რომ მათთან შედარებით ისიც პატარა ერია!

ონუ და ამერიკა გულმოდგინედ მიეშველნენ სამხრეთ კორეას და მტერი განდევნილია დაახლოვებით იმ საზღვრამდე, საიდანაც დაიწყო პირველად შემოსევა. ამერიკის სარდლობამ აღნიშნა, თუ რა შესანიშნავ თავგანწირვით და ბრძოლის უნარით იბრძოლეს სამხრეთ კორეელებმა. ამის მიუხედავად, ბოლშევიზმის გამო დარბეული და დანგრეული კორეა რჩება ორად გაყოფილი!

დიდი ომის დასრულების შემდეგ გასული 8 წლიწადმა და თავისუფალი მსოფლიო ძლივ „ზავის" ძიებაშია, და ამ ზავის მოწყურებული: ფრთხილობს, ერიდება მოქმედებას, დათმობებს ამრავლებს, და, ლამის დაიჯეროს, რომ მოსკოვის ჯალათები მოიჯეულდნენ და ადამიანებად იქცნენ, და მათი გულში ჩახუტების მოლოდინში, მოკრძალებით და სასოებით თვალებში შეჰყურებს. რა საკვირველია, ასეთი ბუნების პოლიტიკამ, თეირანის და იალტის სამსხვერპლოზე შესწირა და დასწვა მრავალი თავისი პატარა მოკავშირე, რომ მერე გულდამშვიდებული ჩასვენებულიყო უძრაობისა, **Statu quo**-ს და **Coutmaint**-ის ნირვანში.

გამოდიოდა, რომ მთავარი, პირობებისა და ერთა უფლებები კი არ იყო, არამედ დროის მოგება — ვინ იცის, იქნებ მანამდე ბოლშევიზმი თავის-თავად დაინგრესო!...

არც თავისუფლებაში მყოფ ერებისათვის არის ასეთი „პასიური" დოქტრინა მომგებიანი და ძალის შემძენი და, მით უფრო საგონებელში ჩამგდებია იგი რუსეთის ტყვეობაში ტანჯულ ერებისათვის.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ სამხრეთ-კორეელების გადაწყვეტილება: „ჩვენი ქვეყნის ორად გაყოფაზე არ ვთანხმდებით"-ო. და მათი გადაწყვეტილი, უეცარი მოქმედება, იმ ტყვეების განთავისუფლება რომელთაც არ სურდათ ჩრდილო-კორეის ბოლშევიკებთან დაბრუნება — არ იყო არც „სათეატრო", არც „მეტიჩრული" მოქმედება, არამედ მსოფლიო მნიშვნელობისა და რეზონანსის პოლიტიკური აქტი.

აქტი, რომელიც ადასტურებს, რომ შედარებით „პატარა" ერსაც აქვს საშუალება — თუ კი მას სული უდგია — მსოფლიო პოლიტიკის ჩარხის ტრიალში მნიშვნელოვან ფაქტორის როლი იკისროს, და არ აჰყვეს მონურად დიდ სახელმწიფოთა ნაჩქარევ კარნახს.

ან, განსაჯეთ, როგორ უნდა დასთანხმებულიყვნენ კორეის პატრიოტები თავისი ქვეყნის ორად გაყოფაზე?! განა ამავე პი[illegible] „ზონ-ლიბრის" ფარგლებში დარჩენას? ან განა ჩვენ ქართველები ხელს მოვაწერდით დასავლეთ ან აღმოსავლეთ საქართველოს ტყვეობაში დარჩენას?

ამიტომ „პატარა" თავისუფალ კორეის მოქმედება არის, კაცობრიობის და ისტორიის წინაშე, შემოწმება და განმტკიცება პატარა ერების საერთაშორისო უფლებისა!

და იმით, რომ ამერიკამ ამ მდგომარეობის მოგვარება ისურვა არა ძალდატანებით (როგორც ამას მოითხოვდნენ ზავის „რაგინდ-ფასადაც არ დაჯდეს" მოტრფიალენი), არამედ დიპლომატიური მოლაპარაკებით, და გარანტიების დაპირებით, მან დაადასტურა თავისი დემოკრატიული თვისება და ჩაგრულ ერებისადმი მეგობრობა.

ყველგან, სადაც იმარჯვებს საერთაშორისო სინდისი, და სამართალი — მარცხდება ბოლშევიზმი, და მზადდება ნამდვილი საბოლოო ზავი.

**ლ. ზურაბიშვილი.**

## რ ე ვ ო ლ ი უ ც ი ე ბ ი დ ა ტ ე რ მ ი დ ო რ ე ბ ი

მრავალია მსგავსება და აგრეთვე განსხვავება ადამიანთა და ხალხთა ბუნებაში. ამასვე ვხედავთ ერთა ცხოვრების მოვლენებში. რევოლუციების ნიმუშად და საზომად საფრანგეთის დიდი რევოლუციაა მიჩნეული, და, ბუნებრივად, ჩვენი დროის რუსეთის რევოლუციებს მას ადარებენ და მაზედ ზომავენ. მათ შორის უთუოდ ბევრია საერთო, მაგრამ კიდევ მეტი განსხვავება.

საფრანგეთის ოთხი რევოლუცია (ზოგნი უკანასკნელი ომის შემდეგ ხანასაც მეხუთე რევოლუციად სახავენ), პოლიტიკური რევოლუციები იყო. ხოლო პოლიტიკური ცხოვრება მხოლოდ ნაწილია ხალხურ ცხოვრებისა. ის ადამიანისა და სახელმწიფოს შორის უფლებრივ დამოკიდებულებით განისაზღვრება. საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროში ადამიანის უფლების ხარტია იყო, მოქალაქეთა თავისუფლება და თანასწორობა. ამ რევოლუციას რუსოს, ვოლტერის და დიდროს იდეები ასულდგმულებდნენ.

რუსეთის რევოლუციაც პოლიტიკური ლიბერალიზმის დროშის ქვეშ დაიწყო. მაგრამ მის დასაყრდნობ ძალას წარმოადგენდა „რევოლუციონური დემოკრატია" — სალდათებისა და მუშების საბჭოების, რომელთაც კომუნისტები და სოციალისტები მეთაურობდნენ. ლიბერალებმა და ზომიერმა სოციალისტებმა ვერ მოუარეს ამ ძალას, ვერ ჩააყენეს დემოკრატიულ აღმშენებლობის კალაპოტში, და მალე მას ბუნებრივად უფრო უკიდურესი და კბილებ გალესილი რევოლუციონერები დაეპატრონნენ. თებერვლის პოლიტიკურ რევოლუციას ოქტომბრის რევოლუცია მოჰყვა. ის უკვე არ კმაყოფილდება პოლიტიკური წყობილების გარდაქმნით, მისი უმთავრესი მიზანი ხალხთა სოციალური და ეკონომიური ცხოვრების გარდაქმნაა. ის მარქსისტული იდეით არის განსჭვალული, მარქსის — გეგმითა და ტაქტიკით მოქმედობს: პროლეტარიატის დიქტატურა, კერძო საკუთრებაზედ დაფუძნებული ეკონომიკის დანგრევა და მის ნაცვლად განსაზოგადოებრივებული ეკონომიური ცხოვრების, სოციალიზმის, დამყარება. კომუნისტური პარტია ჩაუდგა სათავეში ლენინის მეთაურობით ამ სოციალისტური რევოლუციის ნგრევასა და აღმშენებლობას. სოციალისტური ცდები წინადაც მრავლად გაკეთებულა სხვა და სხვა ქვეყნებში, ხოლო დიდი სახელმწიფოს მაშტაბში არასოდეს. მეხუთე წელს ლენინმა მიატოვა ეს სოციალისტური აღმშენებლობა და „ახალი ეკონომიური პოლიტიკის" სახელწოდებით, ძველი ბურჟუაზიული წყობილებისაკენ დაბრუნების გეგმა გამოაქვეყნა. ლენინი კმაყოფილდება მსხვილი მრეწველობისა და ქარხ. ჩამორთმევით და მსხვილი წარმოების და საგარეო ვაჭრობის სახელმწიფოს ხელში დატოვებით. ეს იქნებოდა ფაშიზმი, ხოლო ლენინი არ ჰფარავდა, რომ საჭირო გახდებოდა კიდევ უფრო შორს წასვლა. ცხადია, ის ჩვეულებრივი ბურჟუაზიული დემოკრატიისაკენ უკვალავდა გზას მის მიერ ნაწარმოებ სოციალისტურ რევოლუციას. სიკვდილმა არ დააცალა ამ გეგმის სავსებით განალდება.

სოციალისტური რევოლუციის ეს გ[illegible] თავისებური ტერმიდორი და [illegible] ბრიუმერი იმით აიხსნება, რომ ლენინის მიერ გაკეთებულმა ყველა ექსპერიმენტებმა დაარღვიეს მარქსისა და ყველა სხვა სოციალისტების ძირითადი დებულება. სახელდობრ, რომ დიდ ქარხნებში ერთად ყოფნა უკარგავს პროლეტარებს კერძო საკუთრების სიყვარულს, კერძო ინტერესსა და ეგოიზმსა, და მათ ნაცვლად უმკვიდრებს საზოგადოებრივ ინტერესსა და სულისკვეთებას. ლენინი დარწმუნდა, რომ ეს პროლეტარიატი და მისი კომუნისტური პარტიაც ისევე არიან გაჟღენთილნი კერძო ინტერესითა და ეგოიზმით, როგორც ბურჟუაზია და სხვა წრეები. ლენინმა დაინახა, რომ ამ ძალებით ბურჟუაზიული წყობილების დანგრევა შესაძლებელია, ხოლო სოციალიზმის აშენება — არა. ლენინის მიერ მოწყობილი „სოციალისტური" რევოლუცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისად შესწავლილი და დაფასებული. მომავალი მკვლევარნი ლენინს უთუოდ დასახავენ, როგორც უდიდეს უტოპისტს, აღჭურვილს დიდი სიმტკიცითა და ნებისყოფით და ამასთან ერთად დიდი გულწრფელობითა და პატიოსნობით, რაც ასე იშვიათად ახასიათებს რევოლუციათა ბელადებს.

ლენინის ადგილი სტალინმა დაიკავა. მან განაგრძო ლენინის გზა რამოდენიმე წელს, სანამ საკუთარი გეგმისათვის ძალასა და ნიადაგს შეიმზადებდა. 1930 წელს მან გამოაქვეყნა მეათე ყრილობაზედ ეს თავისი გეგმა. ის არ არის პოეტურ ფორმებში გამოსახული, როგორც რუსსოს სოციალური კონტრაქტი და მარქსის კომუნისტური მანიფესტი. ხოლო რეალური მნიშვნელობა მისი გაცილებით მეტია. ეს არის სტალინიზმის, მსოფლიო ბოლშევიზმის ხარტია. ეს თანამედროვე ცივილიზაციის დანგრევის და მის ნანგრევებზედ მსოფლიო ბოლშევიზმის აგების გეგმაა. სტალინმა ვერ განახორციელა სავსებით ეს თავისი გეგმა მთელ მსოფლიოს სივრცეზედ. ხოლო რაც გაანადგურა, გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე რომელიმე სხვა რევოლუციის ნამოქმედარი. ისიც არ არის ჯერ საკმაოდ გაგებული. ის არც კი ითვლება რევო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუციად, არამედ ერთი რევოლუციის ნაწილად, ეპიზოდად. ხოლო სინამდვილეში ის გიგანტური რევოლუციაა, ყველა სხვა რევოლუციებიდან განსხვავებული, როგორც მიზნით, ისე გეგმით, მეთოდითა და ტექნიკით. მისი დინამიური ძალა უთუოდ გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე ყველა სხვა რევოლუციების ერთად თავმოყრილი. მან შეიწირა აგრეთვე გაცილებით მეტი ადამიანთა ღოვლათი და სისხლი, ვიდრე ყველა სხვა რევოლუციებმა ერთად. მისი ხალხთა ეკონომიური, პოლიტიკური და მორალური ცხოვრების ძირიან-ფესვიანად დანგრევის საქმე ორას მილიონ ადამიანზედ გავრცელდა, ნაწილობრივად კიდევ ექვსას მილიონზედ. ხოლო დანარჩენი კაცობრიობაც საკმაოდ დააზიანა მორალურად და პოლიტიკურად, დანალმა და ასაფეთქებლად შეამზადა. ძველის ნანგრევებზედ ახალი წყობის აღმშენებლობის საქმე მან სავსებით და ნაწილობრივად კაცობრიობის ერთს მესამედზედ გაშალა.

სტალინის მიერ შექმნილი წყობილება სრულიად არ არის ის, რასაც დიქტატურას უწოდებენ, აბსოლუტიზმს, ტირანიას, თუ მონობას. ისტორიაში ცნობილი არც ერთი წყობილება არ დაპატრონებია საკუთრებით ხალხთა ცხოვრების ყველა სფეროებს და პიროვნების ყველა უფლებებს. თვით მონასაც ჰქონდა დატოვებული ზოგიერთი პიროვნული და სოციალური უფლება და ამ მონობისაგან განთავისუფლების შესაძლებლობანიც. მართალია, ბოლშევიკურ სამყაროშიაც არსებობენ კანონები, მაგრამ ამ კანონებს იმდენად აქვთ ძალა, რამდენად ბოლშევიკური ძალა-უფლებების სურვილს უპასუხებენ. საბჭოთა ადამიანს არავითარი უფლება არ მოეპოვება ამ ძალაუფლების წინაშე. ის მთელი თავისი არსებით სახელმწიფოს კუთვნილებაა, მისი საკუთრება, მისი ნივთი, მისი იარაღი. ხოლო ყოველ ცოცხალ არსს სჭირია თავისუფლება — მცენარეს მცირე, პიროვნებას მეტი და ადამიანს გაცილებით მეტი. საბჭოთა ადამიანის თავისუფლება პიროვნების თავისუფლების მინიმუმზედაა დაყვანილი: პატრონის სურვილზე მოძრაობა, მოქმედება და შემდეგ ბაგაში ჩადგომა საკვების მისაღებად. სტალინი უთუოდ გაცნობილი იყო ადამიანის მიერ შიშითა და ძალდატანებით ველური ცხოველების დამორჩილების და შინაური საქონლად გადაქცევის ისტორიას, ბიუფონი რომ მოგვითხრობს. ერთის ნაცვამზედ, სტალინმა საბჭოთა ადამიანების სადღეგრძელო წარმოსთქვა, და მათ საბჭოთა მანქანის ხრახნილები უწოდა. ბოლშევიზმის შემქნელმა გენიალურად გამოსახა ორს სიტყვაში თავისი დიდი ქმნილება — ბოლშევიკური მანქანა, მისი ორასი მილიონი ცოცხალი ხრახნილებით.

პიროვნება, ერთხელ დამორჩილებული და გახედნილი სამუდამოდ მორჩილი ხდება. ხოლო ადამიანი, ძალითა და შიშით დაპყრობილი, ადამიანური თავისუფლებას აყრილი, ასეთს მედგარს არასოდეს ურიგდება — ის მუდამ ცდილობს ადამიანური თავისუფლების დაბრუნებას. ეროვნულ და პიროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლებმა მრავალი მილიონი ადამიანი შეიწირა ბოლშევიკურ სამყაროში. თანამედროვე ტექნიკის განუსაზღვრელმა ძალამ შესაძლებელი გახადა ამ ზომად არა ბუნებრივი წყობილების ასე ხანგრძლივი არსებობა.

ბოლშევიზმის შემქნელისა და სულის ჩამდგმელის სიკვდილმა, რასაკვირველია დიდად დააზიანა ამ წყობილების უმთავრესი დასაყრდნობის, კომუნისტური პარტიის მორალი და დინამიზმი, უკვე საკმაოდ დაღლილი და დაძაბუნებული. მალენკოვის, ბერიას და მოლოტოვის დეკლარაციებში ბევრმა დაინახა ტერმიდორი, და კიდევ მეტი — ლენინისებური უკან დახევა. მაგრამ ლენინს ჰქონდა უკანდასახევი. ხალხთა ცხოვრების დიდი ნაწილი კიდევ ხელუხლებელი იყო. ხოლო საბჭოთა კავშირში არაფერი დარჩა ბოლშევიკური მანქანის გარეშე. ყოველივე იქ არის ჩაწყვდეული და ჩაჭედილი. მისი შეკეთება და ნაწილობრივ შეცვლა შეუძლებელია. ის უნდა დარჩეს, როგორც არის, ან უნდა დაიმსხვრეს თავიდან ბოლომდე. ბევრს იმის იმედი აქვს, რომ ამას მოახდენს წითელი არმია წითელი ნაპოლეონის მეთაურობით.

ხოლო ეს ამბავი გაცილებით უფრო რთული საქმეა, ვიდრე ნაპოლეონის მოქმედება, ერთი მუჭა გრენადერებით სენკლუს ორანჟერეის ფანჯრებიდან რომ გადასხა ხუთასი დეპუტატი. ბოლშევიკური არმია კიდევ არმიას წააგავს მხოლოდ გარეშე მტერთან ბრძოლის საქმეში. საბჭოთა საზღვრებში ეს ძალაც ისევე შებოჭილი პარტიული პოლიციის ჯაჭვებით, როგორც ყველა სხვა უწყებები. როგორც ჯარისკაცები, ისე მათი გენერლებიც ბოლშევიკურ მანქანის ხრახნილებს წარმოადგენენ, პოლიციური ქსელებით შებოჭილს.

სტალინის სიკვდილის მიერ დაწყებული, ვითომდა დიდი უკან დახევა, ტრალი-კომიკური სახეს ღებულობს. სტალინის სახელს იშვიათად ახსენებენ; ეხლა გაზეთის თვითეულ ნომერში მისი ხსენება ოცდაათამდე აიყვანეს. ამ ახალი მეთაურობის მეორე წევრი, ბერია, რომელსაც ჩააბარეს ბოლშევიკური მანქანის უმთავრესი ძალა — პარტიული პოლიცია, უკვე გადააგდეს და ძველებურად ქვეყნის მოღალატედ და კაპიტალისტების დაქირავებულ აგენტად გამოაცხადეს. ბერიას მთელი მოღვაწეობა ჯერ საქართველოში და შემდეგ მოსკოვში ბოლშევიკური დაუზოგავ ტერორს ემსახურებოდა. სიმართლესთან დაახლოვებულ ბრალდებების ამოკრება ასეთი მისი მოღვაწეობიდან ადვილი და ბუნებრივი საქმე იქნებოდა, უკეთუ მათ ამ ტერორისტული რეჟიმის გაზომიერება ჰქონდათ დასახული. მათი ყვირილი კანონიერებაზედ და სამართლიანობაზედ უმნიშვნელო, და ჩვეულებრივი საპროპაგანდო სიტყვიერებაა. სტალინი მოკვდა, მაგრამ მის მიერ შექმნილი მანქანა ბრუნავს და ძველებურად სჭყლეტს თავის პატარა და დიდ ხრახნილებს.

ამ ზომად რთული მანქანის დაშლა მშვიდობიანი გზით მეტად მძიმე საქმეა, მაგრამ შეუძლებელი არ არის. უკეთუ ბოლშევიზმის მეთაურები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ამ წყობამ უკვე ამოწურა ყველა თავისი შესაძლებლობანი და სამუდამოდ გაწირულია, მათ შეუძლიათ ამ მანქანის დახსნა ნაწილობრივ და ახალს ნიადაგზედ დალაგება. ეს მოითხოვს მეთაურთა დიდს ერთსულოვნობას და მათ პარტიულ და პოლიციური ძალების მაქსიმალურად გამოყენებას. ყველა ნიშნებია იმისა, რომ ბოლშევიკური წყობის დასნეულება მეტად შორს არის წასული, და მისი მშვიდობიანი გზით გარდაქმნა ფრიად საეჭვოა.

დემოკრატიული მსოფლიოს მის წინააღმდეგ ამხედრება და აქტიური ბრძოლის პოზიციებზედ დადგომა, ბოლშევიზმის სულის ჩამდგმელის და მისი მთავარი ბოძის წაქცევა, მისი ახალი მეთაურობაში აღეხილი განხეთქილება და ბრძოლა, ყველა ძველი დიდი იმედების გაცრუება და ყველა დასახულ სოციალისტური გეგმების გაკოტრება, ბუნებრივად აძაბუნებს ბოლშევიკურ ძალას ფიზიკურად და სულიერად. ბოლშევიკური მანქანაში ჩამწყვდეული ორასი მილიონი ცოცხალი ხრახნილი კიდევ ფხიზლად დარაჯობს ამ ძალის დასუსტებას.

გერმანიაში და მოსკოვის სხვა სატელიტებში მომხდარი ამბების გაფართოვება უთუოდ გამოიწვევს ამ გიგანტური მანქანის ცოცხალი ხრახნილების ნერვიულობას და მათთვის განწესებულ მოძრაობის რითმის დარღვევას. ხოლო ამ ორასი მილიონი ცოცხალი ხრახნილის მცირე მეტოქეობაც საკმარისი იქნება ამ უცნაური მანქანის დასამხობად, ვინაიდან ერთხელ აშლილთ მას ძველ კალაპოტში ვერ ჩააყენებს მათ ვერც დაჯერება და ვერც მუქარა..

ალ. ასათიანი.

## რად ვართ ამაყნი?

ხშირად მკითხავენ უცხოეთში უცხოელები
რად ხართ ქართველნი თავმოყვარე და ამაყები.
მათ არ იციან რომ წარსულმა ასე აღგვზარდა:
მემკვიდრენი ვართ დიდებულთა ჩვენ წინაპართა.

რომ შვილები ვართ ტურფა ქვეყნის ფირუზოვანის
მაღალი მთების, ლამაზ ველთა და ლეგენდების.
ათასი წლების ზურგით მოგვაქვს დიდი კულტურა,
რაინდი სული, ეროვნული ჩვენი ღირსება.

ქართულმა ნიჭმა უხვად უძღვნა მსოფლიოს ძეგლნი.
მცხეთისა ჯვარი, ალავერდი გუმბათოვანი
მოზაიკები გელათისა, ფრესკები უბისს
მინანქრები ბექა და ბეშქენ ოპიზარების.

დიდმა პოეტმა რუსთაველმა ქართველთ გვასწავლა
კაცთმოყვრობა, მეგობრისთვის თავის დადება,
ძმობა, ერთობა, სიყვარული, თავისუფლება,
მტერთა წინაშე სიმტკიცე, უდრეკელობა.

გვექადნებიან რომ ჩვენ ვართ პატარა ერი!
ვინ იყო დავით, გოლიათის დამმარცხებელი?
ღარიბები ხართ! დაგვცინიან ოქროთ მაძღარნი.
მდიდარნი იყვნენ რომაელნი ეხლა გამქრალნი!

სამაგიეროდ სულითა ვართ მუდამ ძლიერნი,
ხშირად პყრობილნი და არას დროს დამონებულნი.
მართალი არის გადაგვარდნენ ერთეულები,
გულუხვები ვართ, მივცეთ უცხოთ ეს საჩუქრები.

ქართველი ხალხი შინ ხომ დარჩა მეხლებ მაგარი,
ბედისა მუდამ და უბედობაში დაუდეგარი.
სადღა არიან წარსულ დროის იმპერიები?
სავსე არიან მათ დიდებით მუზეუმები.

„ქართველთ შესჭამეს სპარსელები, ბიზანტიელნი,
სელჯუკ - თათართა ბრძანებლობა და მონღოლელნი“.
დაბლა დაეშხო დიდი რომი და არაბეთი,
ეხლა რიგშია ჩაყენებული „დიდი“ რუსეთი.

გ. ალელი.

## ფიქრები და დასკვნანი

საბჭოთა კავშირს, კომუნისტების ხელმძღვანელობით რომ მართავს სახელმწიფოს, 36 წელი შეუსრულდება მალე.

ყველამ კარგად იცის კომუნისტების ლოზუნგი „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“. თვით რუსეთში, ნებით თუ ძალით, მოხდა ეს შეერთება და ამ შეერთებამ ყველა გააპროლეტარიატა. საბჭოთა კავშირის გაერთიანებული პროლეტარიატის მართვა - გამგეობა ჩაუვარდა ხელში კომუნისტური პარტიის დიქტატურას. თავის მხრივ რუსეთის კომუნისტურმა პარტიამ დასავლეთ ევროპაში დააარსა ეგრეთ წოდებული „კომინფორმი“, რომელსაც თვითონ განაგებს და რომელსაც დავალებული აქვს მსოფლიოს ყველა კუთხეში მოაწყოს კომუნისტური კოლონები. პირნათლად ასრულებს „კომინფორმი“ დავალებულს. არ არის დედა - მიწის ზურგზედ ისეთი დასახლებული ადგილი, სადაც კომუნისტებს არ ჰყავდეს ეგრეთ წოდებული მე - 5 - ე კოლონა. ეს კოლონები თავის მხრივ გაჰკივიან „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდითო“ და ამით ძირს უთხრიან ნელ-ნელა მაგრამ მეთოდიურად საკუთარ ქვეყნების კეთილ - დღეობას და ნიადაგს უმზადებენ მომავალში გარედან მოსულ კომუნისტურ ძალა - უფლებას. ვინ იქნება ეს ძალა - უფლება, რა თქმა უნდა მოსკოვის მესვეურნი. მაგალითები ბევრი გვაქვს.

ასეთი მდგომარეობა საიდუმლოებას არავისათვის შეადგენს; ყველამ კარგად იცის ეს და ყველანი ამ დღისათვის ემზადებიან. თვით ინიციატორი მომავალი შეხლისა მოსკოვიც რა თქმა უნდა ემზადება.

თვით ხალხები ყველა ქვეყნისა გმინავენ, იტანჯებიან, აუარებელ ხარჯებს ეწევიან, რომ მოუმზადებელნი არ შეხვდნენ მომავალ სამწუხარო დღეს. ბევრად უარეს გაჭირვებაში არიან საბჭოთა კავშირის ხალხები, მომწყვდეულნი მათ ჩიხში. გადასახადების გარდა ისინი ეწევიან აუტანელ შრომას, განსაკუთრებულად რომ არიან დავალებულნი. რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირის მოქალაქენი, მიუხედავად დრაკონიული ზომებისა მათ წინააღმდეგ, ველარ ითმენენ. რაც ამ ბოლო დროს მოხდა და ხდება საბჭოეთში, გვაფიქრებინებს, იქ დიდი, ჯერ ჩუმი, მაგრამ საგრძნობელი მოძრაობა უნდა იყვეს ხელისა - უფლების წინააღმდეგ.

მარტში გარდაიცვალა „ხალხების მამა“ იოსებ ჯუღაშვილი, სტალინად გადანათლული. მისმა აჩქარებულმა დასაფლავებამ ბევრი ეჭვები დაბადა საყოველთაოდ. ცოტა ხნის შემდეგ მოხდა ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიაში, უნგრეთში სხვა და სხვა ხასიათის გამოსვლები, ზოგან სისხლიც დაიღვარა.

რეინის ფარდის იქითა მხარიდგან დაწვრილებითი ცნობები არ იყო, როდესაც მეხივით გავარდა საბჭოეთის შინაგან საქმეთა მმართველის ბერიას დატუსაღება და თანამდებობიდან გადაყენება. ამ ამბავმა უფრო დიდი განცვიფრება გამოიწვია, ვიდრე სტალინის სიკვდილმა. მიუხედავად იმისა, რომ ბერიას ავტორიტეტი ვერ შეედრებოდა სტალინისას. თუ მხედველობაში მივიღებთ 19 ივლისის პრესის მიერ გადმოცემულ ახალ ამბებს, არ **შეიძლება** არ ვიფიქროთ, რომ მდგომარეობა საბჭოეთში სახუმარო არ არის.

მაგალითად, რად დასჭირდათ სამხედრო მინისტრ ბულგანინს, მარშალ ჟუკოვს, პოლიტიკური სექციის გამგე გენერალ ჟელტოვს, მარშალ როკოსოვსკის მოეხდინათ სამინისტროში განსაკუთრებული თათბირი და განეცხადებიათ, რომ ისინი მხარს უჭერენ კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას. მათ დადგენილებას მიემხრნენ ფლოტის ამირბარი კუზნეცოვი, მარშლები ეგოროვი და მულინი და დიდი ქალაქების სამხედრო უფროსები.

ანდაზა არის: „უცეცხლოდ ბოლი არ გაჩნდება“-ო.

დაუბრუნდეთ ბერიას. რაშია საქმე, აჯანყება მოახდინა ბერიამ? ეს არა სჩანს ჯერ-ჯერობით მაინც. ბერია ნამდვილი ერთგული იყო საბჭოთა კავშირისა. მოვიგონოთ 1923 - 1924 წლები, როდესაც მან სტალინის ლოცვა - კურთხევით დახვრიტა ნაღები საქართველოს მოწინავე საზოგადოებიდან 10.000 კაცი.

შემდეგაც არ დაინდო პარტიული ამხანაგებიც კი, საქართველოს მთავრობის წევრნი, რომლებიც სიცოცხლეს გამოასალმა უკლონიზმისათვის. და ბევრი სხვა მისი მოქმედებანი საბჭოთა კავშირის განსამტკიცებლად.

მაშ რა უნდა ვიფიქროთ?

უნდა ვიფიქროთ: „მავრმა შეასრულა დავალებული, — ახლა მავრი უნდა წავიდეს!“. და მითოლოგიური ღმერთის ნემეზისის ხელი უნდა დავინახოთ ამაში.

მაგრამ ჩვენ პირველს უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევთ: მავრის ისტორია უფრო ახლოს არის ბერიას ბედთან და ალბად სხვების ბედთანაც.

მომლისპირელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დოლარები მოგებული, პოლიტიკა წაგებული

ორი წლისწინადი გრძელდება და, სჩანს, მარცხით თავდება ის ხანა, რომელსაც ჩვენ დასაწყისითგანვე „კერენსკისა და დონ-ლევინის ეპოქა" ვუწოდეთ. ორი წლის წინ შემოიჭრა ქართულ და მის გვერდში მყოფ მოძმე ერების ემიგრაციაში, ამერიკული კერძო კომიტეტის მიერ დოლარებით დატვირთული კერენსკი. უმეშვეოდ დარჩენილ, მონათესავე პოლიტიკურ წრეებში თანაგრძნობა მოიპოვა, რუსული ბოლშევიკური რეჟიმის დასამარცხებლად და ჯუღაშვილის მიერ აღდგენილ რუსეთის იმპერიის, ამა თუ იმ სახით, შენარჩუნების ფარული განზრახვით, საერთო ფრონტის შექმნას შეუდგა. სხვა ერთა ემიგრაციებში მხოლოდ უპასუხისმგებლო და უმნიშვნელო წრეებში ჰპოვა გამოძახილი კერენსკის იმპერიალისტურმა მოწოდებამ. მან ვერ გაიყოლია ვერც თვით რუსული ემიგრაციის ფართო, აქტიური მებრძოლი და რეალური ძალები. ამ მხრივ, გამონაკლისს ქართული ემიგრაცია წარმოადგენს: კერენსკის მოწოდებას არა თუ გამოეხმაურა, საკუთარ საქმედ მიიჩნია მისი ხორც-შესხმა, ქართული ეროვნული ემიგრაციის სწორედ იმ პოლიტიკურმა წრეებმა და ორგანიზაციამ დაწესებულებამ, რომელთაც — მათი სიტყვებით რომ ვსთქვათ — ქართველმა ერმა მისი ეროვნული უფლებებისათვის ბრძოლის „დროშა ჩააბარა". მათი მომდევართაგან სახელდახელოდ შექმნილი „ეროვნული საბჭო" და „კომიტეტი" და მთელი ქართველი ერის სახელით კერენსკის რუსულ საქმიანობას დაუკავშირდნენ. რაკი რუსეთის იმპერია აღადგინა და გადაარჩინა ქართველმა — ჯუღაშვილმა, ბოლშევიზმის დამარცხების შემდეგ, რუსეთის იმპერიის მთლიანობის შენარჩუნებისათვის ემიგრაციის ძალთა დარაზმვა, ვისთვის უნდა მიენდოთ თუ არა სტალინისავე თანამემამულისათვის? ეს საპატიო როლი ბ-ნ ცინცაძეს შესთავაზეს. უკანასკნელის მეთაურობით დაიწყო ვისბადენის ორგანიზაციის ჩამოყალიბება. ვისბადენის თათბირზე 1951 წ. 7 ნოემბერს მიღებულმა დეკლარაციამ, რომელზედაც ხელი მოაწერეს „ქართული ეროვნული საბჭოს" წარმომადგენლებმა, ფარდა ახადა ვისბადენის უდიდეს დაწესებულებას.

„ქართული ეროვნულ-პოლიტიკური ცენტრი" მტკიცედ დარჩა ქართველი ერის უფლებათა დაცვის ისტორიულ პოზიციებზე და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა „ვისბადენს". საჯარო მოხსენებებით, პრესით, სიტყვით თუ საქმით მან დარაზმა ქართული ემიგრაციის დიდი უმრავლესობა. „ვისბადენის აქციის" სასტიკი დაგმობა მოხდა: გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და ამერიკაში არსებულ ქართულ პოლიტიკური წრეებისა და დაწესებულებების მიერ. ამ ჯანსაღმა აზრმა კარი შეაღო თვით „ეროვნული საბჭოს" წრეებში და მომხრეები გაიჩინა. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ „ეროვნული საბჭო" დასტოვა გამოფხიზლებულმა ერთმა ნაწილმა. დარჩენილთა შორისაც არ შეწყვეტილა უთანხმოება და ბრძოლა.

ქართული ემიგრაციის ეროვნულ-პოლიტიკურმა ცენტრმა საგანგებოდ შედგენილი მემორანდუმებით გააცნო დაინტერესებულ უცხო პოლიტიკურ წრეებსა და დაწესებულებებს ქართველი ერის უფლებრივი პოზიციები და მისი უარყოფითი დამოკიდებულება „ვისბადენის წამოწყებისადმი". „ცენტრი" დაუკავშირდა სხვა ერების პასუხისმგებელ პოლიტიკურ წრეებს, მათთან საერთო გამოსვლებით უარჰყო და დაჰგმო „ვისბადენ-მიუნხენის საკოორდინაციო ცენტრი"-ს პოლიტიკური ხაზი: 1952 წ. დეკემბრის, კავკასიის ერთა მიუნხენის კონფერენციის დეკლარაციები, საერთაშორისო პოლიტიკური ფართო წარმომადგენლობისადმი წაკითხულმა და გადაცემულმა პარიზ-კონფერენციაზე. და ამაწლის თებერვლის დასაწყისში ყველა დიდი და პატარა სახელმწიფოთა მთავრობებისადმი გადაცემულმა ვრცელმა და შინაარსიანმა მემორანდუმმა, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერების მისწრაფებას და მათი ეროვნული პოლიტიკის ხაზს რომ გამოხატავდა; რომელზედაც ხელი მოაწერეს საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი ყველა ეროვნული ემიგრაციის პასუხისმგებელ პოლიტიკური წრეების და მათ შორის ქართული ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებმაც. საბოლოოდ და მკაფიოდ იმცნო მსოფლიოს ოფიციალურსა და ოფიციოზურ პოლიტიკურ წრეებს ამ ერების პოლიტიკური პოზიცია, ჩრდილი მიაყენა და საგრძნობლად ლახვარი ჩასცა „მიუნხენის საკოორდინაციო ცენტრს"; რომლის მიზანი და დანიშნულება, ბუნება და ხასიათი საბუთებით გამოამჟღავნა 1952 წ. 16 ოქტომბრის სხდომაზე მიღებულმა და მონაწილეთა მიერ ხელმოწერილმა სტატუტმა. ამ სტატუტმა ყოველივე ლოდინს გადააჭარბა და რუსეთი შეიტანა თვით ხელისმომწერ „ნაციონალთა" რიგებში. ეს სტატუტი შეუწყნარებელი აღმოჩნდა არა მარტო მოწინააღმდეგე ბანაკებისათვის, მას აუმხედრდნენ თვით საკუთარი წრეები და პირველ რიგში ქართველები. ამას ერთი მოვლენაც დაერთო. კერენსკიმ დაიჩივლა, რომ ბ-ნი ცინცაძე ემიგრაციის სტალინად ვერ გამოდგებოდა და რუსი მელგუნოვით შეცვალა. „ეროვნულმა ცენტრმა" საქვეყნოდ ამხილა-განმარტება და პასუხი მოსთხოვა „ეროვნული საბჭოს" მეთაურებს, პოლიტიკური მძიმე პასუხისმგებლობის წინ დააყენა და ერისა და მისი ისტორიის წინაშე უკანასკნელად გააფრთხილა. საღ ნაციონალურ-ისტორიულ პოზიციებზე დარაზმულ ქართველთა და მეზობელი ერების, პოლიტიკური ძალების მკაცრმა, სპონტანიურმა რეაქციამ და წნეხვამ, თვით მათსავე წრეებში გაჩაღებულმა ოპოზიციამ გამოაფხიზლა „საკოორდინაციო ცენტრის" მონაწილე ქართველები. ამ სხვისი თავით და საკუთარი ხელებით აგებული „ბაბილონის გოდოლს" თითქო აუმხედრდნენ! და უკან დასახევი „პატრონსანი" გზების ძებნა დაიწყეს.

ბუნებრივი და გონიერი იქნებოდა „ვისბადენ-მიუნხენი"-დან პირდაპირი გზით დაბრუნებოდნენ ქართულ-ისტორიულ პოზიციებს და მათ დამცველ თანამემამულეებთან ვაჟკაცურად აღედგინათ ეროვნული ერთობა, ქართველობა რომ აღდგომასავით ელოდება. დამარცხებულთ აღარ აღმოაჩნდათ ის პოლიტიკური გამბედაობა, რომელიც იმ „საჩოთირო" საქმეში შესვლის დროს გამოიჩინეს. „იქითაც და აქეთაც" „ტაქტიკის" ხაზი ერთხელ კიდევ სცადეს: მიუნხენის რუსულ „საკოორდინაციო ცენტრში" დარჩნენ და იმავე დროს, თითქოს უკანასკნელის საწინააღმდეგოდ ნაციონალური ძალების დარაზმვა დაიწყეს. „მოხერხებულად" დაუკავშირდნენ ჩვენთან კავშირში მყოფ და ჩვენ საერთო პოზიციებზედ მდგარ სომხურ და უკრაინულ პოლიტიკურ წრეებს, „საკოორდინაციო ცენტრიდან" გამოსვლის დაპირებით. ფაქტიურად კი მათი ჩათრევაც მოინდომეს კერენსკი-მელგუნოვის ცენტრში. ჩვენი პოლიტიკური უცხო მეგობრების საშუალებით მოინდომეს ჩვენ რკალში მოქცევა, ჩვენი პოზიციების დაკავება, ჩვენს გარეშე და უჩვენოდ. სამწუხაროდ თუ სასიხარულოდ მათზედ მეტი ეროვნული შეგნებისა, პოლიტიკური პრინციპისა და ნებისყოფის აღმოჩნდნენ მათი ახალი მოკავშირენი. ქართველებმა მოახერხეს მათი მოყვანა „საკოორდინაციო ცენტრში", მაგრამ მათმა გარკვეულმა ეროვნულ-პოლიტიკურმა ხაზის გაბედულად გამომჟღავნებამ საბედისწეროდ გაბზარა „ვისბადენის სარდაფზედ" ზედნაშენი. რამოდენიმე თვის ენერგიული მუშაობითაც ვერ შესძლეს მათ, ამ მოსალოდნელი დანგრევებიდან ქართველთა გამოყვანა.

ბოლოს აღსრულდა ის, რაც ჩვენ არა ერთხელ უწინასწარმეტყველეთ ჩვენ გაჯიუტებულ თანამემამულეებს: შეუძლებელი აღმოჩნდა ეშმაკისა და ანგელოზის გულის მოგება ერთსა და იმავე დროს და თანაც ორთავეს მოტყუება. კერენსკი-მელგუნოვმა მათ კბილები გაუსინჯეს, ეშმაკობა გაუგეს, „საკოორდინაციო ცენტრიდან" გამორიცხეს „ქართული ეროვნული საბჭოს" დელეგატები და მათი ამყოლ-დამყოლნი; გამორიცხვის მიზეზად ნაჩვენებია ურჩობა და არდამორჩილება — „ვისბადენ-მიუნხენი"-ს კონფერენციების მიერ მიღებულ და ხელმოწერილ წესდება-სტატუტებისა, და პოლიტიკურ-მორალის შეუფერებელი, არა-ლოიალური, საწინააღმდეგო და სეპარატისტული მოქმედება. აი, სადამდი მიიყვანა ჩვენი თანამემამულენი ყალბმა „პოლიტიკური რისკისა" და ზედდართულ ორ სკამზე ჯდომის „ტაქტიკამ".

მიუნხენის „საკოორდინაციო ცენტრი"-სადმი ჩვენი გარკვეული შეუწყნარებელი პოზიცია ურყევი და უცვლელია. ასევე უცვლელია ჩვენი დაფასება იქ მონაწილე ქართველებისა. გადასახლებულ-გარდაქმნილი „საკოორდინაციო ცენტრი" არსებობას აგრძელებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი ახალი სტატუტი იწყნარებს ცენტრის შემადგენლობაში „სამოსტინაკ"-ების მონაწილეობას „რუსულ ცოხის" კარებს, ქართული ეროვნული წრეებიდან არავინ დაუკაკუნებს.

ბუნებრივად იბადება საკითხი: რა შესძინა ქართულ საქმეს „ვისბადენ-მიუნხენი"-ს ხაზით ორი წლის პოლიტიკურმა „მუშაობამ"? — პარიზიდან-მიუნხენში თითქმის ყოველკვირეული მოგზაურობა, რუსულ უმნიშვნელო წრეებთან თათბირები და კონფერენციები, საქართველოს სუვერენობის საწინააღმდეგო დეკლარაციები და სტატუტები, და ამით ქართულ და კავკასიურ წრეებში განხეთქილებისა და არევ-დარევის შეტანა. აი რაზედ დაიხარჯა პატივცემული „ამერიკული კომიტეტის" მიერ უხვად გაღებული დოლარები. რა სასიქადულო და საქები იყო ისეთი რამის შექმნა-შენება, რომლის თითქმის დაშლა-დარღვევით დღეს ამაყობენ. აუტკივარი თავი რაზე აიტკიეს?

საჭიროა ამ უხეირო, ჩავარდნილ საქმის დაჩქარებითი ლიკვიდაცია, რომ გაიწმინდოს შექმნილი პოლიტიკური უნდობლობის ატმოსფერო როგორც ქართველთა *) შორის, ისე ქართველებისადმი დაეჭვებულ მოძმე მეზობელთა შორის.

**ელ. პატარიძე.**

*) ეროვნულ პრომეტეისა და სოციალური პრინციპის მიმდევართა.

## სიმართლე უნდა ითქვას!

ზოგნი სთვლიან, ვითომც მთავარი მტერი კაცობრიობისა, — „კომუნიზმია". ეს — შეცდომაა! „კომუნიზმი" კი არა თავისთავად, არამედ ის მიზანი, რომელსაც ისახავენ კრემლში მჯდომი მეთაურნი, აი, მონაკვდინებელი საშიშროება თავისუფალ კაცობრიობისათვის.

განა შეიძლება მტკიცება, ვსთქვათ, რომ „ქრისტიანიზმი" იყო მტერი იმ მეზობელ ერებისა, რომელნიც გადაყლაპა მოსკოვის სახელმწიფომ, რუსეთის იმპერიად გადაქცევის ხანაში, ხუთასი წლის განმავლობაში? — არა.

„ქრისტიანიზმი" წარსულში, „კომუნიზმი" — აწმყოში და, იქნება, კვლავ „ქრისტიანიზმი" (ან სხვა რამ — „იზმი") სულ ახლო მომავალში, — ეს არის მხოლოდ იარაღი, რომლითაც სარგებლობენ მოსკოვის იმპერიალისტები თავის ზრახვათა განხორციელებისათვის: „მაღალი მისია ველიკორუსებისა: პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული დაპყრობა მსოფლიოსი, — რუსიფიკაცია კაცობრიობისა".

მაშასადამე, საშიშია არა „კომუნიზმი", არამედ ის „კოლექტიური შეშლილობა", რომელიც ახასიათებს ხალხს, რუსებს რომ უწოდებენ თავიანთ თავს, არიან თეთრები, წითლები თუ სხვა ფერისანი, რომელთაც თითქო არა აქვთ საკუთარი სამშობლო და ოცნებობენ სხვათა სამშობლოებისაგან შეჰქმნან მსოფლიო იმპერია, მაზე ბატონობის განზრახვით.

* * *

ბოლშევიზმი ჩაისახა რუსეთის წიაღში და შეეფერა მხოლოდ მას. იგი **„უცხოა სხვა ერებისათვის, რომელთაც ოდესღაც ინოროდცებს ეძახდნენ; დიდ რუსეთის გარეშე იგი ძალით იყო დანერგილი მოსკოვის ხელისუფლებისაგან"** *).

თეორია ბოლშევიზმზე, როგორც მსოფლიოსათვის გადამდებ ავადმყოფობაზედ, გამოგონილია „თეთრი რუსების" ემიგრანტებისაგან, — დასავლეთის სახელმწიფოთა შესაშინებლად, რომ მათი შემწეობით ჩამოაგდონ ბოლშევიკები და ადგილი დაიჭირონ კრემლში, რომელმაც თვითონ ეს „თეთრები" გამოჰყარა:

— 36 წლის განმავლობაში, მიუხედავად აუარებელი ფულისა და ენერგიის ხარჯვისა, მიუხედავად მილიონიან მსხვერპლთა და სისხლის ზღვისა, ეს „გადამდები სენი", არა მარტო არ გავრცელებულა, — ბოლშევიკური გავლენა სუსტდება და სუტ-ავადმყოფობა გამოიხატება მხოლოდ მოსკოვის დაქირავებულ აგენტების აქტობაში. თვით „თეთრი რუსები" იძულებულნი არიან ეს დაადასტურონ: „კომუნიზმის იდეურ შინაარსიდან არაფერია დარჩენილი..."-ო სწერს ბ-ნი ვლ. ლაზარევსკი (იხ. მოწინავე, № 572, „რუსკაია მისლ"-ი). ამას ადასტურებენ თვით „წითელი რუსებიც": 1 მაისს 1953 წ. — 36 წლის შემდეგ, [illegible] მოწოდებენ „საბრძოლველად **კომუნიზმის** გამარჯვებისათვის" და ძველ, გაცრეცილ ზომებს კი იღებენ, — მალენკოვ-მოლოტოვის ბრძანებით მოსკოვის პატრიარქ ალექსის ძალით, ნებით თუ მოსყიდვით ამორჩილებინებენ მსოფლიოში გაბნეულ სხვა პატრიარქებს. სხვანაირად ახსნა ამისა შეუძლებელია, თუ არ მიმართვით ძველ იარაღისათვის: „მართლმადიდებლობისათვის".

* * *

იყო რამოდენიმე საშუალება ბოლშევიზმის ჩაკვლისა ჩასახვის დროსვე, როცა არსებობდა მხოლოდ „რ.ს.ფ.ს.რ."-ი და ჯერ არ არსებობდა „ს.ს.ს.რ."-ი, როცა ბოლშევიკური ხელისუფლება ვრცელდებოდა მხოლოდ ველიკორუსიაზედ და არარუსთა ტერიტორიაზედ აღმოცენდნენ დამოუკიდებელი სახელმწიფონი. არის ეხლაც საშუალება გამარჯვებით ბრძოლისა ბოლშევიზმის წინააღმდეგ, მაგრამ თეთრი რუსები, თუმცა იძახიან „ბოლშევიზმს ვებრძვითო", ფაქტიურად გამალებით იბრძვიან ნამდვილი იარაღის, — **ეროვნული საკითხის გადაჭრის** — წინააღმდეგ.

რატომ? იმიტომ, რომ „ნაციონალიზმის ზრდა, — რუსეთის იმპერიალიზმის მტერია, იმიტომ, რომ ნაციონალურ რუსეთს მხოლოდ გაუგებრობით ეჯავრება ბოლშევიკები, რადგან არსებითად იგივე სურს, რასაც აკეთებენ ბოლშევიკები" (იხ. გ. პ. ფედოტოვი „სოვრემენნია ზაპისკი" № 57), რადგან საბჭოთა ექსპანსიონისტები და რუსეთის იმპერიალისტები ერთი და იგივე მიზნისათვის იბრძვიან: „დიდი რუსეთის ერის დიდი მისიის შესასრულებლად"-ათ.

ეროვნული პრობლემის ცნობა რუსეთში, სწორე და სამართლიანი მისი გადაწყვეტა, — ნიშნავს ცნობას, რომ **200.000.000 რუსი არ არსებობს, რომ ასეთი რუსეთი — ზღაპარია, ეს ნიშნავს უარის თქმას ოცნებაზედ:** „ეშმაკსაც წაუღია ჭეშმარიტება, თუ იგი უშლის ტკბილსა ოცნებას", ამბობს დიდი მაქსიმ გორკი.

* * *

მუდამ „მაძიებელნი ჭეშმარიტებისა" — რუსები, — შიშით თვალსა ხუჭავენ სინამდვილეზედ, როგორც კი ეს ჭეშმარიტება აღმოჩნდება და ურჩევნიათ მუდამ სიცრუით იცხოვრონ. „პრავდა" და „იზვესტია" და მათთან მთელი მსოფლიოს პრესა აცხადებს მთავარ ბრალდებას ბერიას წინააღმდეგ: **„ცდა დამოუკიდებლობის გაძლიერებისა არა-რუს 15 რესპუბლიკისა — მოსკოვის ბატონობისაგან"**, ე. ი. მოქმედებაში ერთა სასარგებლოდ და მთლიანი რუსეთის საწინააღმდეგოდ, სადაც მალენკოვ-მოლოტოვ-ჟუკოვის რეჟიმით, რუსის ხალხი უნდა იყოს ცნობილი — უფროს ძმად და ხელმძღვანელად.

„თეთრი რუსები" არ მალავენ აღტაცე-

*) სიტყვები ფრჩხილებში, ჩემ მიერ ხაზგასმული, ეკუთვნის ი. ფ. სემიონოვს, იხ. „ვოზროჟდენიე" 1 თებერვალი 1934 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ც ნ ო ბ ი ს ფ უ რ ც ე ლ ი

### საფრანგეთში მყოფ ქართველთა სათვისტომოს არჩევნები

კრება იყო დანიშნული ა. წ. 22 მარტს, კათოლიკური ინსტიტუტის დარბაზში სრულ 15 საათზე. ჩვენ ამ დარბაზში გახლდით დანიშნულზე 15 წუთით ადრე; გვეგონა, ყველას დავასწრებდით, მაგრამ იქ უკვე 80 პირამდე — ყველა ე. წ. „მემარცხენე ბანაკიდან“ იქ დაგვხვდა.

როდესაც გვერდის დარბაზში შევსული, ყველაფერი ნათელი გახდა: — ამ დარბაზში 200 ადამიანი თუ დაეტეოდა, მაშინ როდესაც შარშანდელი არჩევნების დამსწრეთა რიცხვი 300 აღემატებოდა და წრეულს კი, ორთავე „ბანაკის“ მიერ მიღებული აშკარა და ენერგიული დარაზმვის ზომების წყალობით, გაცილებით მეტი უნდა მოსულიყო.

კრებში, მემარცხენე „საკონტროლო ბიურო“ უწევდა კონტროლს შემსვლელებს, ურიგებდა დანომრილ ბარათებს, აღვენდა სიას, და ნელ-ნელა უშვებდა ხალხს დარბაზში... უშვებდა იმდენად ნელა, რომ კრებაც დიდი ხანია, დაწყებული იყო და დამსწრე ხალხიც ღელვის პაროქსიზმზედ ასული, როდესაც გარედ ისევ იდგა „კუდში“ ხალხი და წყნარად უცდიდა შესასვლელად თავიანთ რიგს. დარბაზიც მალე გაივსო. უფრო გაჭირვებით შემოდიოდა ხალხი; მალე ეს შეუძლებელი გახდა, იმდენად იყო გაჭედილი დარბაზი და ბევრიც უნაყოფო „კუდში“ ცდის შემდეგ წავიდა ისე, რომ დარბაზში ვერ შემოსულა.

ხალხი ნახევარზედ მეტი ფეხზედ იდგა. ხმაურობა ისეთი, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. სულთა ჰაერი გვაკლდა. ამ პირობებში ჩვენ თავი აგვტკივდა და წასვლა დავაპირეთ; მაგრამ, შემოსვლა თუ ძნელი იყო, გასვლა შეუძლებელი აღმოჩნდა, და მეტი გზა არ იყო, უნდა დავრჩენილიყავით და შევცდილიყავით გაგვეგო თუ რა ხდებოდა ტრიბუნაზე...

ბ. აბდუშელმა, გამსვლელმა თავმჯდომარემ, ჩაგვაბარა ანგარიში; ბევრი და კარგად ვიმუშავეთო: 26 მაისის დღესასწაული ჩავატარეთო, კარგი საპატიო თავმჯდომარეც გვყავდაო ამ დღესასწაულისთვის, მაგრამ ვერ მოვიდაო. სამაგიეროდ კარგი სიტყვები იყო თქმული, ნამეტურ ფრანგულ ენაზედაო. შობის დღეც მოვაწყეთო; „უნესკო“-ს მოხელეებიც გავართეთ ქართული ცეკვით და სიმღერით და, აი, ამ დარბაზშიდაც მოვიყვანეთო...

აქ ვიღამაც დიდებული აზრი მოიტანა: ბატონ თავმჯდომარეს მადლობა გამოუცხადოთო! დიდი, დატანჯული ხალხი გაკვირვებით სდუმდა, ამიტომაც მომწყობნი გადადიან მიმდინარე საკითხებზე...

... დაიწყო ეხლა „მემარცხენე სექტორის“ ობსტრუქციები: ღრმა დემოკრატიული წესით თავიანთ ორატორს თუ აძლევდნენ ლაპარაკის უფლებას, თორემ სხვას სიტყვას უშლიდნენ... დაუჯერებელი იყო, როდესაც 4 ვაჟკაცი ტრიბუნიდან ძალით მიათრევდა ბ. ბლიაძეს. რისი გამომწვევნების შიში ჰქონდათ ამ ვაჟბატონებს — საიდუმლოდ დარჩა...

ნახევარი საათზედ მეტი დავაც იყო: მიეცეთ თუ არა სიტყვის ნება „ეროვნული სექტორის“ კანდიდატს ბ. ზურაბიშვილს. „მემარცხენე სექტორი“ ამის დიდი წინააღმდეგი იყო, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და თავხედობასაც ზომა. ბ. ზურაბიშვილს ლაპარაკი ვერ დაუშალეს და მანაც „მემარცხენეებს“ იმედი გაუცრუა: ილაპარაკა მოკლედ და „ტექნიკურად“ იმაზედ თუ რა უნდა გაკეთებულიყო ქართულ სათვისტომოსთვის, და მასზედ იერიშისთვის მომზადებულთ ენა ჩაუვარდათ.

... დაიწყო არჩევნები... წესი იმდენად უცნაური და რთული აღმოჩნდა, რომ საარჩევნო მაგიდასთან საათობით ჩხუბი, ყვირილი, გაწევ-გამოწევა და უწესობა იყო... კენჭის ყრა ისეთ პირობებში მოხდა, ძალიან ბევრს იმედიც დააკარგვინეს და კენჭის უყრელად შინ გაისტუმრეს. დარბაზში ხომ ხნიერი ხალხიც იყო და ავადმყოფებიც!..

ღამის 10 საათზე და გამოაცხადეს შედეგები: ბ. აბდუშელი — 169 ხმა; ბ. ზურაბიშვილი — 139 ხმა; გაუქმებული — 2 ხმა; თეთრი — 4 ხმა. დარეგისტრებული დანომრილი ბარათების მიხედვით 44 პირმა, დარბაზში მყოფმა, **კენჭი ვერ ჰყარა.**

იმდენად უცნაური იყო ეს „გამარჯვება“, მემარცხენე ბანაკშიაც არავითარი ენტუზიაზმი არ გამოუწვევია. პირიქით, ჩვენ სულ სხვა გვესმოდა ზოგიერთი „მემარცხენეების“ პირიდან, მაგრამ ეთიკა მოითხოვს, მათი სიტყვები აქ არ მოვიყვანოთ...

უკვე გვიან იყო შინ რომ ვბრუნდებოდით... ატკეცილ თავში მწარე ფიქრებით... როგორ დაქვეითდა ქართველობა, თუ კი ასეთ შეურაცხყოფას იტანს! განა ამას ჰქვია არჩევნები?

ჯ.

---

ბას, რომ „აგერ მეორე ქართველი ჩამოშორდა ძალა-უფლებას“, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებენ მთავარ მიზეზს; და, იმედით, — „ს.ს.ს.რ“-ის გადაქცევისა „იედინაია-ნედელიმაია“-ად, — უხარიათ ამისგამო შესაძლებლობა ათასობით „სეპარატისტების“ ამოწყვეტისა, თანაბრად მიუღებლებისა როგორც „წითელი რუსეთის“, ისე მემარცხენე თუ მემარჯვენე „თეთრი რუსეთის“ შოვინისტებისათვის.

ამით ყველა „თეთრმა რუსმა“ ნიღაბი აიხადა, 36 წლის განმავლობაში ამაოდ ნატარები. მაგრამ სიცრუემ არ უნდა გაიმარჯვოს და სიმართლეს კვლავ და კვლავ მივადევნებთ კვალ და კვალ...

ვახტანგ ციციშვილი.

23 - 7 - 1953 წ.
პარიზი.

### საერთო მემორანდუმი

ამა წლის დასაწყისში უკრაინელების ინიციატივით ვრცელი და მეტად დასაბუთებული მემორანდუმი წარუდგინა ქვემოდ ჩამოთვლილ ოფიციალურ პოლიტიკურ პირთ, რუსეთის მიერ დაპყრობილ ერთა გათელილ უფლებათა აღდგენის მოთხოვნებით. მემორანდუმში აღნიშნულია ამ ერების მდგომარეობა, მათი გადაგვარებისა და სრული მოსპობის საფრთხე, მათი შეურიგებლობა და მუდმივი ბრძოლები თავისუფლებისათვის, მათი ურყევი სურვილი და უფლებრივი საფუძვლები, სუვერენობის აღდგენისათვის; მიმართვა კულტურული კაცობრიობისადმი მორალური და უფლებრივი დახმარებისათვის.

მემორანდუმი გადაეცა **ჩრდილო ამერიკის** პრეზიდენტს აიზენჰაუერს, საგარეო საქმეთა მინისტრ დალესს, სტასენს, ბედელ სმიტს; სენატორ: ტაფტს, ალ. სმიტს. კონგრესმან: არმსტრონგს, კერსტენს, ლავერენსს ჰ. სმიტს, მაკ-კარტის ამორბარ სტივენსს. **ინგლისის** პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს, საგარეო საქმეთა მინისტრ ედენს, კლემენ ატლის, გენერალ ფიულერს, ფ. სტიუარტს; **საფრანგეთის** პრემიერ მინისტრ რენე მეიერს, საგარეო საქმეთა მინისტრ ბიდოს, და გენერალ დე-გოლს; **იტალიის** პრემიერ მინისტრ გასპერის და **ვატიკანს; გერმანიის** კანცლერ ადენაუერს, საოკუპაციო ზონათა უმაღლეს კომისრებს; კანადის, ბელგიის, ჰოლანდიის, ესპანიის, ოსმალეთის, საბერძნეთის, იზრაელის, სპარსეთის, ეგვიპტეს, პაკისტანის, ინდოეთის, იაპონიის, ნაციონალური ჩინეთის, არგენტინის, ჩილის, ბრაზილიისა, ავსტრალიის და სხ. სახელმწიფოთა მეთაურებს და საგარეო საქმეთა მინისტრებს.

მემორანდუმს ხელს აწერენ: „ადერბეიჯანის ეროვნული ცენტრის“ სახელით — მ. ე. რესულ-ზადე, „ქართული ეროვნული ცენტრის“ სახელით — რ. გაბაშვილი, „პოლიტიკური ორგანიზაციის“ სახელით — ნ. ნაკაშიძე, „ერ. დემ. პარტიის“ სახელით — ალ. პატარიძე, „ბელორუსიის ეროვნული ცენტრის“ სახელით — რ. ოსტროვსკი და ი. ვინიკი, „თურქესტანის მთლიანობის კომიტეტის“ სახელით — კაჯიმ-ხანი, „იდელ-ურალის“ სახელით — წარიმ სულტანი, ყაზახების სახელით — ვ. გლაზკოვი, „ჩრდილო კავკასიის ეროვნული კომიტეტის“ სახელით — ა. მაგომა, „უკრაინელ მონარქისტების“ სახელით — ა. კმეტა, „უკრაინელ ნაციონალისტთა სახელით — ირ. სტეცკო.

### სტოკჰოლმი — 13 ივლისი

(ასოშიეტ პრეს-ის ინფორმაცია)

„რკინის ფარდის“ უკან მყოფ ცხრა ქვეყნიდან გადმოხვეწილი სოციალისტ ლიდერებმა მიჰმართეს ვაშინგტონში „გარეშე საქმეთა მინისტრების თათბირს“ — დეპეშით რომელშიაც მოითხოვდნენ: ენერგიული ზომები იყოს მიღებული ზემოხსენებულ ქვეყნების პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ინტერნაციონალური კონტროლის გარანტიით — თავისუფალ არჩევნების მოსაწყობად.

მოითხოვდნენ აგრეთვე: — ულრესი სიფრთხილით გასინჯონ ამ თათბირზე — მეტად მნიშვნელოვანი საკითხი — რა მდგომარეობაში იმყოფებიან და რა ბედი მოელით მონობაში ჩაგდებულ იმ ერებს, რომელნიც „რკინის ფარდის“ გადაღმა არიან.

ამ დილას, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ გაერთიანებამ ერთ-ხმად გამოიტანა ეს რეზოლუცია, რომელიც გაეგზავნა ამერიკის მინისტრ ფოსტერ დალესს.

„ეს გაბედული ბრძოლა რეპრესიის წინააღმდეგ და თავისუფლებისათვის, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში გამოიხატა ჩვენ ქვეყნებში მუშების აჯანყებებით — ღირსია იმისა, რომ მთელ თავისუფალ კაცობრიობამ სრული დახმარება გაუწიოს“, და „მხოლოდ დასავლეთ დემოკრატიულ სახელმწიფოების გაერთიანებული ძალით და მოქმედებით იქნება შესაძლებელი აღდგენა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თავისუფლებისა“, — ნათქვამია მიმართვაში.

— „და ეს განთავისუფლება ყველა ერებისა, რომელნიც „რკინის ფარდის“ იქით იმყოფებიან — არის აუცილებელი პირობა ნამდვილი მშვიდობიანობის დამყარებისათვის — როგორც ევროპაში, ისევე მსოფლიოს ყველა ერთა შორის“.

— სოციალისტური გაერთიანება წარმოადგენს ნაწილს სოციალისტურ ინტერნაციონალისა, რომლის მესამე მსოფლიო კონგრესი ამავე ქალაქში მომავალ ოთხშაბათს იხსნება. გაერთიანებაში შედიან გადმოხვეწილი სოციალისტური პარტიები შემდეგი ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი ს ა: ბულგარეთისა, ჩეხოსლოვაკიის, ესტონიისა, ლატვიის, ლეტონიის, , პოლონეთის, უნგრეთის, რუმინიის, უკრაინის და იუგოსლავიისა. ამ პარტიათა ლიდერებმა, კომიტეტის სხდომებზე ენერგიულად გაილაშქრეს „სატელიტ“ ქვეყნების განთავისუფლებისათვის, ინგლისის პრემიერის, ვინსტონ ჩერჩილის წინააღმდეგ ბევრი მკაცრი კრიტიკა გამოითქვა: მის აქციას, — „დათმობითი დამშვიდების“ პოლიტიკის სახელი უწოდეს.

სოციალისტთა ლიდერები შეიკრიბნენ — მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურის და „რკინის ფარდის“ გაღმა შექმნილი მდგომარეობა გაითვალისწინებიათ, — ი ს ი ნ ი მიჰმართავენ სოციალისტური ინტერნაციონალს, რომელიც 10.000.000 წევრთა სახელით, — მხარს დაუჭირენ მათ აზრს, კონგრესზე რეზოლუციის სახით წარდგენილს.

კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ 30 ქვეყნის სოციალისტური პარტიები.

— ● —

„**Georgia**“. ჩვენი მეგობრების თაოსნობით ნიუ-იორკში გამოდის ინგლისურ ენაზე პერიოდული ჟურნალი „**Georgia**“, რომლის მიზანია ამერიკულ საზოგადოების გააცნოს საქართველოს საკითხი. უკვე გამოვიდა მე-2 ნომერი.

ჟურნალი გარეგნულად კარგად არის გამოცემული და კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს. წამოწყება მნიშვნელოვანია და საქებელია. ჟურნალს შეუძლია სასარგებლო როლი ითამაშოს ქართული საქმისათვის. უსურვებთ წარმატებას.

### გ ა ზ ე თ ე ბ ი დ ა ნ

ამერიკული გაზეთი „ფილადელფია კურიერ“-ი სწერს:

„იმ დროს, როცა „რკინის ფარდის“ იქით, სასოწარკვეთილებამდე მისული ერები, მოულოდნელად სასტიკ ბრძოლაში ჩაებნენ თავისუფლებისათვის მოსკოვის წინააღმდეგ, ჩვენი მოკავშირენი „ფარდის“ აქეთ, — გვაჩქარებენ „დათმობის პოლიტიკას“ დავუბრუნდეთ; იმის მაგიერ, რომ დადუმებით ქედი მოუხაროთ — „სატელიტების“, უიარაღოდ, თითქმის ცარიელი ხელით, პოლიტბიუროს წინააღმდეგ — გაბრძოლების წინაშე.

იმის მაგიერ, რომ ეს „აფეთქება ჩამქრალიყო“, როგორც ზოგი დასავლეთ ევროპის „ბრძენნი“ გვარწმუნებენ, — აჯანყებისა ალი უფრო და უფრო ეძლება და ნათობს. და სწორედ ეხლა, როცა მოსკოვი გასაჭირშია მთელი „რკინის ფარდის“ გასწვრივ, — ამერიკის შტატების წინააღმდეგ სასტიკი იერიშები მოაქვთ: „საჩქაროდ მოაწყოს „ოთხ დიდთა“ მოლაპარაკება, კრემლთან სათათბიროდ!

ერთი რამ არ უნდა ჩაიდინოს დასავლეთმა: კომუნისტების თავსატეხი გაჭირვება არ შეუმსუბუქოს და სწორედ დღეს, როცა „ფარდის“ იქით, ჩვენი შეურიგებელი მოკავშირენი იბრძვიან მტკიცედ, „ფარდის“ აქეთა თავისუფალი მეგობრები, არა ნაკლებ სოლიდარობას უნდა იჩენდნენ საერთო საქმეში.

ჩვენ ვიმედოვნებთ, — აიზენჰაუერი არ დაიხევს უკან და არ დასთმობს, წნეხვის მიუხედავად; იმედია, ის დღეს დახმარებას არ გაუწევს კრემლს, როცა მთელი ჩვენი გამხნევება და თანაგრძნობა ეკუთვნის ჩვენს ძმებს, თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულთ, თვით სიცოცხლესაც რომ არ ზოგავენ მოსკოვის ბორკილების დასამსხვრევად.

დადგა დღე, როცა თავისუფლების დროშა მაღლა უნდა ავაფრიალოთ და არა ჩამოუშვათ და დავკეცოთ!

---

„გაზეტ დე ლოზანი“ სწერს, ვითომ ჩერჩილი ავად გახდა იტალიის პრემიერ-მინისტრ გასპერისთან ბაასის დროს, როდესაც გასპერიმ მკვახედ უსაყვედურა, — თქვენი პოლიტიკით ბოლშევიკების მიმართ, თქვენ ღუპავთ არა მარტო იტალიას და ევროპას, ქვეყნიერებასაც კატასტროფას უმზადებთო.

— ● —

კერენსკი სწერს: „ქართული ეროვნული საბჭო“, — „საკოორდინაციო ცენტრიდან“ გავაგდეთო;

ურატაძე სწერს: „ქარ. ერ. საბჭო“, მუდამ გამარჯვებულია“-ო;

გვარჯალაძე უმატებს: „ქარ. ე საბჭოს“ ხელმძღვანელობით უნდა გაერთიანდეს ქართველობა“-ო.

ქართველობა ფიქრობს: კერენსკიმ შეაერთა „ქარ. ერ. საბჭო“ შარშან, წრეულს — გააგდო. მარცხენა ურატაძე — შარშანაც გამარჯვებული იყო, წელსაც. გვარჯალაძე შარშან რუსებს აერთებდა, წრეულს ქართველებს. გამარჯვება! დამარცხება! დიალექტიკა! „რას გვაბრუნებთ, რა ზნე გჭირთ“?.

---

#### გათხრები პანტიკაპეიაში

ეხლანდელი კერჩთან (აზოვის ზღვაზედ) სადაც მდებარეობდა ქ. პანტიკაპეია, რუსეთის არქეოლოგ ბლავატსკის აღმოუჩენია ე. წ. „მიტრიდატის მთაზედ“ — ძველი ქალაქის ნანგრევები, ქუჩებით, სახლებით, წყალსადენებით და ბუეთებით მორთული. ისტორიის მიხედვით, პომპეიუსისაგან დამარცხებული მიტრიდატი, გაიქცა მოკავშირე კოლხიდაში ქ. დ. პირველ საუკუნეს და იქ თავი მოიკლა. ახალი გათხრების მიხედვით გამოდის, თითქო პანტიკაპეია - კერჩი, საქართველოს მოკავშირე მიტრიდატის თვითმკვლელობის ქალაქი, ასე თუ ისე, შედიოდა კოლხიდის არეში.

**Directeur responsable: R. Gabachvili.**
Impr. de Navarre, 11, rue des Cordelières, Paris.